#385 2013 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/11/2013, 470230000.10.003.017446) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. №482 დადგენილების ფარგლებში დამდგარი შემთხვევები, რომლებიც დასრულდება 2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ამოქმედების შემდეგ, უნდა დაფინანსდეს №482 დადგენილების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ამასთან, N482-ე დადგენილების „სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების“ სახელმწიფო პროგრამის ,,სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა ამბულატორიული შემოწმების“ კომპონენტის ფარგლებში დამდგარი შემთხვევების (2013 წლის 11-14 ნოემბერი) დაფინანსების მიზნით, რომლებიც ვერ იქნა ანაზღაურებული კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის ლიმიტის ამოწურვის გამო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სოციაური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს დამატებითი კონტრაქტის გაფორმება იმავე მიმწოდებელთან №482 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**